ARERSA METAL LTD

№ 25/01
25.11.2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „არერსა მეთალ"-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 437072864) მიერ დაგეგმილია მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურში, ქუჩა 1, ნაკვეთი 107-ში მდებარე 31 797.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შ.პ.ს. „მანსაროვარ"-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406030815) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №26.16.19.006.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის მე-6 პუნქტის თანახმად "მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, ხოლო ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ამავე კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, შემდგომ ამ კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული გზშ-ს პროცედურა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 07 ივლისის №2-576 ბრძანებით გამოცემული იქნა 2020 წლის 23 ივნისის №58 სკოპინგის დასკვნა.

"შპს „არერსა მეთალის" ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების (ალუმინის სხმულების) წარმოების საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 07 ივლისის №2-576 ბრძანების საფუძველზე წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და 2020 წლის 23 ვნისის №58 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

№ 18346
"26" 11 2020
3/100

საიდენტიფიკაციო კოდი: 437072864
მის: სოფ. ლიხაური,
ოზურგეთი, საქართველო
მობ: (995) 77 770 660

ბანკი: სს იშბანკი საქართველო
ბანკის კოდი: ISBKGE22
ა/ნომერი: GE77IS0000647436772006
ელ.მის: arvind@inbox.lv

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;

2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;

3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;

4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

ერვინდ კუმარ შარმა

შ.პ.ს. „არერსა მეთალ"-ის დირექტორი

საიდენტიფიკაციო კოდი: 437072864
მის: სოფ. ლიხაური,
ოზურგეთი, საქართველო
მობ: (995) 77 770 660

ბანკი: სს იშბანკი საქართველო
ბანკის კოდი: ISBKGE22
ა/ნომერი: GE77IS0000647436772006
ელ.მის: arvind@inbox.lv